ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3971732

ნომერი: AR1600692

თარიღი : 14.05.2018

გაცემის თარიღი : 21.05.2018

გაცნობის თარიღი : 21.05.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიტაიას და ჩუბინაშვილის ქუჩების დასაწყისში; ქალაქი თბილისი , ჩიტაიას და ჩუბინაშვილის ქუჩების დასაწყისში; ქალაქი თბილისი , ჩიტაიას და ჩუბინაშვილის ქუჩების დასაწყისში;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ზარიაშვილი პ/ნ 31001029513
- მცხეთა ს. მუხრანი

ორგანიზაცია:
- შპს "ლიდერ-ფუდი" კოდი: 406158045

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N20, 17.05.2017 წ.) რომლის დასკვნის საფუძველზეც მიეცა დადებითი შეფასება ქ. თბილისში, ჩიტაიასა და ჩუბინაშვილის ქუჩების დასასწყისში არსებულ შენობაზე სარეკლამო მონიტორის (7.68X3.84 სმ ზომებით) მოწყობას პილასტრის მხარეს გადმოწევით.

საკითხის განხილვისას თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

- გათვალისწინებული იქნას საბჭოს რეკომენდაცია და წარმოდგენილი იქნას შესაბამისი ვიზუალური მასალა.
- განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს; წარმოდგენილი იქნას შესაბამისი ანგარიში.
- წარმოდგენილი იქნას კონსტრუქციული დასკვნა სახურავის მდგრადობისა და ექსპლუატაციის დროს მონიტორისა და მისი დამჭერი კონსტრუქციის მასზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ. ამასთან დასკვნაში ასახული უნდა იყოს მონიტორის დამჭერი კონსტრუქციის მდგრადობა და საიმედობა. ზემოთხსენებულ საკითხებზე მსჯელობისას გათვალისწინებული უნდა იქნას დინამიური დატვირთვებიც.
- წარმოდგენილი იქნას მონიტორის განთავსების სქემები, საჭირო დეტალიზაციით.
- წარმოდგენილი უნდა იქნას ტექნიკური დასკვნა მონიტორის გამოსხივებისა და განათების საზგაო მოძრაობის მონაწილეთა მხედველობის შესაძლო დაქვეითებასთან დაკავშირებით. ამავე საკთხთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პოზიცია.
- წარმოდგენილი იქნას საკადასტრო გეგმა საპროექტო მონიტორის ჩვენებით.
- წარმოსადგენია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, წარმოსადგენია მესაკუთრის თანხმობა.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.